ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2347787

ნომერი: AR1363156

თარიღი : 10.12.2015

გაცემის თარიღი : 17.12.2015

გაცნობის თარიღი : 17.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუამთა , N 1 , მიმდებარედ (ნაკვეთი 24/053)/ ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , (III) მასივი , კვარტალი 7, N7 კორპუსის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ნიჟარაძე პ/ნ 01024013053
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 9 ბ. 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1363156 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ AR1359895 ნომრით მიმდინარე წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 27 ნოემბრის AR1359895 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ოთარ პირველმა და მოითხოვა ქალაქი თბილისში, ჯავახეთი ქუჩა, შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , (III) მასივი , კვარტალი 7, N7 კორპუსის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.19.20.024.126) I კლასის 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის, ახალი მშენებლობა. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად №2335989 09.12.2015წ. გადაწყვეტილებით განუხილველად დარჩა განმცხადებლის მოთხოვნა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2015 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის (#01.19.20.024.126) მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge